ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომა

13 აპრილი 2006 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №4/8, ბ. №6

სხდომის დაწყების დრო: 18:30სთ

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:
კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, ზურაბ ტაბიძე, დავით ასათიანი;

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების შეჩერების მსურველთა განცხადების განხილვა;
2. ასოციაციის წესდებაში ცვლილებების შეტანა;
3. სახაზინო ადვოკატის დანიშვნის შემთხვევაში, საადვოკატო საქმიანობის განმახორციელებელი ასოციაციის წევრისთვის შედავათის დაწესება;

აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე, ასოციაციის იმ წევრთა განცხადებები, რომლებიც ითხოვდნენ საადვოკატო უფლებამისილების შეჩერებას, წარმოდგენილი იყო ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წესდების 21-ე II მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ასოციაციის წესდებაში ცვლილებათა პროექტთან დაკავშირებით ასოციაციის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აუცილებელია შემუშავდეს პროექტი, რათა ასოციაციის წესდება არ ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონს „ადვოკატთა შესახებ".

ვინაიდან, სახაზინო ადვოკატის დანიშვნა შედის ადვოკატთა ასოციაციის ფუნქციაში და ასეთ შემთხვევაში დაცვას ახორციელებს ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, დავით ასათიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ იმ ადვოკატებზე, რომლებიც სახაზინო საქმეებში მიიღებენ მონაწილეობას, გავრცელდეს საწევრო გადასახდზე დაწესებული შედავათი, რაც გულისხმობს საწევრო შენატანის განახევრებას.

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. ადვოკატთა ასოციაციის წესდების 21-ე II მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილდა ასოციაციის წევრობის შეჩერების მსურველთა განცხადებები.
2. შემუშავდეს ასოციაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ პროექტი საქართველოს კანონთან „ადვოკატთა შესახებ" შესაბამისობაში მოყვანის კუთხით.
3. გადაწყვეტილების მიღება გადავადდეს საქართველოს კანონის „უფასო სამართლებრივი დახმარების შესახებ" მიღებამდე.

გადაწყვეტილების მიღებისას სხდომას ესწრებოდნენ: კ. ასლანიშვილი (თავმჯდომარე), რ. მიგრიაული, ზ. კორძაძე, გ. სვანიძე, ზ. ტაბიძე, დ. ასათიანი;

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, ღია კენჭისყრით.

კახაბერ ასლანიშვილი
თავმჯდომარე